საზოგადოებრივი განვითარების აკადემია © 2020

რეკომენდაციები საკრებულოს

რეკომენდაციების პერიოდი მოიცავს 2019 წელის I, II, III და IV კვარტალს

რეკომენდაციები შემუშავებულია „საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში

საზოგადოებრივი განვითარების აკადემია © 2020

1. **საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბათუმის, ხულოს, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის დ ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარეები საერთოდ არ არიან, ან არიან მხოლოდ ერთი კომისიის წევრები** - რეკომენდებულია საკრებულოს თავმჯდომარეები აქტიურად ჩაერთონ საკომისიო საქმიანობაში. ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეები, რომლებიც არიან გაერთიანებული მხოლოდ ერთ კომისიაში, რეკომენდებულია ჩაერთონ, დამატებით კიდევ ერთ კომისიაში.

2. **საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ხულოს, ქედის, შუახევის და ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები არ არიან საკრებულოს კომისიის წევრები** - რეკომენდებულია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები აქტიურად ჩაერთონ საკომისიო საქმიანობაში. ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, რომლებიც არიან გაერთიანებული მხოლოდ ერთ კომისიაში, რეკომენდებულია ჩაერთონ, დამატებით კიდევ ერთი კომისიის საქმიანობაში.

3. **საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ქობულეთის, ხელვაჩაურის და ბათუმის საკრებულოებში, დეპუტატების გარკვეული ნაწილი, არის მხოლოდ ერთი კომისიის წევრი და ხშირ შემთხვევაში, სამუშაო პროცესში აქაც არ მონაწილეობენ** - რეკომენდებულია, საკრებულოს ის დეპუტატები, რომლებიც არიან მხოლოდ ერთი კომისიის წევრები, ჩაერთონ დამატებით კიდევ ერთ კომისიაში და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საკომისიო საქმიანობაში.

4. **საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ ქედისა და შუახევის საკრებულოს ზოგიერთი კომისიის სხდომა ტარდება კვარტალში მხოლოდ ერთჯერ** - რეკომენდებულია, აღნიშნულმა საკრებულოებმა გაითვალისწინოს ბათუმისა და სხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკა და სხდომები ჩაატარონ უფრო ხშირად (თვეში ერთჯერ).

5. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ ქედის საკრებულოს რამდენიმე კომისიაში სხდომები, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ტარდება - რეკომენდებულია, გამოსწორდეს არსებული მდგომარეობა.

6. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ უმცირესობის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი არ მონაწილეობს საკომისიო სხდომებში - რეკომენდებულია, უმცირესობის წარმომადგენლები დაუბრუნდნენ საკომისიო საქმიანობას და აქტიურად მიიღონ სხდომებში მონაწილეობა.

7. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ უმცირესობის ზოგიერთი წარმომადგენლი არის მხოლოდ 1 კომისიის წევრი და ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ესწრება სხდომებს - რეკომენდებულია, საკრებულოს უმცირესობის ის წევრები, რომლებიც არიან მხოლოდ ერთ კომისიაში, ჩაერთონ დამატებით კიდევ ერთ კომისიაში და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საკომისიო საქმიანობაში.

8. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, შუახევის საკრებულოში გამოიკვეთა ისეთი შემთხვევა, სადაც საკრებულოს წევრი ქნ. ფატი ჭაღალიძე არის 2 და მეტი კომისიის წევრი - რეკომენდებულია, შუახევის საკრებულომ გაითვალისწინოს ქვეყანაში არსებული სტანდარტები.

9. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ საკრებულოს წევრებს აქვთ მხოლოდ სოციალური ან პროცედურული ხასიათის ინიციატივები - რეკომენდებულია, საკრებულოს წევრებმა დააყენონ ისეთი სახის ეკონომიკური სახის ინიციატივები, რომლებიც ქალაქს/მუნიციპალიტეტს მოუტანს დამატებით შემოსავლებს.

10. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ საკრებულოში არსებული თანამდებობები (ძალაუფლება), უმეტეს შემთხვევაში, გადანაწილებულია მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლებზე - რეკომენდებულია, ძალაუფლების გადანაწილების მიზნით, რაც არის დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, ზოგიერთ თანამდებობაზე არჩეულ/დამტკიცებული იქნეს ოპოზიციის წარმომადგენელი. მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ, რომელიმე ერთი ან მეტი კომისიის თავმჯდომარედ ან კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

11. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ საკრებულოს წევრებს ხშირად აქვთ ისეთი სახის პროცედურული ხასიათის ინიციატივები, რომლებიც უკავშირდება ქუჩის სახელების ცვლილებებს - რეკომენდებულია, საკრებულოს წევრებმა გამოიჩინონ ისეთი სახის პროცედურული ინიციატივები, რომლებიც ადგილობრივებს გაუმარტივებს საკრებულოსთან ურთიერთობას, მათ შორის, დისტანციურ ურთიერთობას.

12. საკრებულოს თავმჯდომარეობა ნიშნავს, იყო ნეიტრალური პირი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეები არიან მიკერძოებული მმართველი პარტიის სასარგებლოდ - რეკომენდებულია, საკრებულოს თავმჯდომარეებმა, სხდომების მიმდინარეობის პროცესში, დაიცვან ბალანსი, იყვნენ ნეიტრალური და მიუკერძოებელნი.

13. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ საკრებულოს სხდომებზე არ მიმდინარეობს სიღრმისეული დისკუსიები. დეპუტატები, ძირითადად, შემოიფარგლებიან მხოლოდ ზოგადი შეკითხვებით - რეკომენდებულია, საკრებულოს წევრებმა დასვან ე.წ წერტილოვანი შეკითხვები. ვინაიდან ევროპულმა პრაქტიკამ აჩვნა, რომ, რაც უფრო მეტია ე.წ წერტილოვანი შეკითხვა, შეცდომების ალბათობაც პირდაპირპროპორციულად მცირდება.

14. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის საკრებულოს კომისიის სხდომებში თითქმის არ მიდინარეობს საკითხების განხილვა და შეკითხვების დასმა მაშინ, როდესაც ნაკლებია მედიის ყურადღება. საპირისპირო ხდებოდა მედიასაშუალებების წარმომადგენელთა სხდომებზე დასწრების შემთხვევაში. დეპუტატებს ურჩევნიათ, შეკითხვები დასვან მაშინ, როცა საჯაროდ ფიქსირდება მათი აქტიურობა - რეკომენდებულია, საკრებულოს წევრებმა უფრო მეტად იაქტიურონ კომისიის სხდომებზე, დასვან მეტი შეკითხვები და მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში, იმ შემთვევაშიც კი, როდესაც მედიის მხრიდან არ ხდება სხდომების გაშუქება.

15. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ შუახევის საკრებულო არ ახდენს მთავარი და კომისიის სხდომათა ოქმების გამართულად ადმინისტრირებას. უფრო მეტიც, შუახევის საკრებულოს სხდომის ოქმები არის კრიტიკულად შეუსაბამო და ვერ პასუხობს არსებულ სტანდარტებს. არ იკვეთება განცხადების, შეკითხვვბის, კომენტარების, აზრის გამოთქმის ავტორები - რეკომენდებულია, შუახევის საკრებულომ ოქმები მოამზადოს ისეთი სახით, რომ მათში ნათლად ჩანდეს გნცხადების, შეკითხვვბის, კომენტარების, აზრის გამოთქმის და მოხსენების ავტორები - რეკომენდებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოცდილების გაზიარება.

16. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის საკრებულოები, ოქმების ადმინისტრირების პროცესში, ვერ აკმაყოფილებენ მაღალ სტანდარტებს. მაგ: საზოგადოებრივი განვითარების აკადემიის წარმომადგენლებმა კომისიის სხდომებზე დასვეს შეკითხვები, რომლებიც შემდგომში ოქმებში არ აისახა - რეკომენდებულია, ოქმების გაუმჯობესება და უკლებლივ ყველა სიტყვის, მოსაზრებისა და შეკითხვების ასახვა.

17. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ შეფასების პერიოდში, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს საკრებულოს ვებ-გვერდებზე არ ხდებოდა საკრებულოს მთავარი სხდომების ოქმების გამოქვეყნება - რეკომენდებულია, შესაბამისმა საკრებულოებმა ვებ-გვერდებზე, გამოსაჩენ ადგილზე განათავსონ კომისიის სხდომათა ოქმები.

18. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ შეფასების პერიოდში, ბათუმის, ქობულეთის, შუახევისა და ხულოს საკრებულოს ვებ-გვერდებზე არ ხდებოდა საკრებულოს კომისიის სხდომების ოქმების გამოქვეყნება - რეკომენდებულია, შესაბამისმა საკრებულოებმა ვებ-გვერდებზე, გამოსაჩენ ადგილზე განათავსონ კომისიის სხდომათა ოქმები.

19. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ შეფასების პერიოდში, საკრებულოების უმეტესობა, ვებ-გვერდზე არ ახდენს საკრებულოს სხდომების ანონსირებას. ასევე, მართალია ბათუმის საკრებულო ვებ-გვერდის საშუალებით, სხდომებს აანონსებს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, კანონით დადგენილი ნორმების უგულებელყოფით (რამოდენიმე საათით ან 1 დღით ადრე) - რეკომენდებულია, სხდომების ანონსირება განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმების სრული დაცვით.

20. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ შუახევის საკრებულო, ხშირ შემთხვევაში, ატარებს კომისიის გაერთიანებულ სხდომებს, რაც ემსგავსება მთავარ სხდომებს - რეკომენდებულია, საკრებულოს კომისიის სხდომები გაიმართოს ისე, რომ არ დაემსგავსოს საკრებულოს მთავარ სხდომებს.

21. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ საკრებულოში, უმრავლესობის მხრიდან, სავარაუდოდ ხდებოდა უმცირესობის წარმომადგენელთა ინიციატივების მიზანმიმართული ჩაგდება- რეკომენდებულია, შეიცვალოს აღნიშნული პრაქტიკა.

22. საკრებულოს წევრთა აქტიურობის შეფასების ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ შეფასების პერიოდში, ბათუმის, ქობულეთი, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს საკრებულოებმა დაარღვია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ვადები. კერძოდ:

- **ბათუმის საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 53%-ზე, დაარღვია მოწოდების ვადები.**
- **ქობულეთის საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 23%-ზე, დაარღვია მოწოდების ვადები..**
- **ხელვაჩაურის საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 7.14%-ზე, დაარღვია მოწოდების ვადები.**
- **ქედის საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 14.28%-ზე დაარღვია მოწოდების ვადები.**
- **შუახევის საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 85.71%-ზე, დაარღვია მოწოდების ვადები და** აქედან 2 საჯარო ინფორმაცია საერთოდ არ მოგვაწოდა. დამატებით, საჯარო ინფორმაციის მისაღებად, შუახევის საკრებულოსთვის ყოველჯერზე რამოდენიმეჯერ გვიწევდა იმის შეხსენება, რომ მოსაწოდებელი ქონდა საჯარო ინფრმაცია.

• **ხულოს საკრებულომ, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის 66.60%-ზე, დაარღვია მოწოდების ვადები.**

რეკომენდებულია, მკაცრად იქნას დაცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი

საზოგადოებრივი განვითარების აკადემია © 2020